პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 23 მარტი, 1946 წ. № 60 (7533). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტის ბ-ნ ედი ჰილმორის მიერ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

ი. ბ. სტალინმა და ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს პოლონეთის პროფესიული კავშირების დელეგაცია (მე-3 გვერდი).

გრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. (მე-3 გვერდი).

ხალხთა სტალინური მეგობაროვის დროშით (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დამკვიდრებას, კანონები, რომლებიც იძას მოასწავებენ, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალისტური მშენებლობის ახალ ეპოქაში.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ შეჰქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მეთაურობით. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ეყრდნობა ხალხის საყოველთაო მხარდაჭერას და რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი ეპოქის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადი ამხანაგი სტალინი, უხელმძღვანელებს სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ამაღლებისაკენ მიმართულ გრანდიოზულ სამუშაოებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმოადგენს სოციალიტური მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც შემუშავებულია საბჭოთა კავშირის მსოფლიო-იატორიულ გამარჯვებათა სულიჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის მითითებებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი ხუთწლიანი გეგმა გულმოდგინედ და ღრმად იქნა განხილული კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 38 დეპუტატმა, რომლებიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას წარმოადგენენ, მონაწილეობა მიიღო ხუთწლედის შეახებ მოხაენების გამო გამართულ კამათში და ყველა მათგანმა ერთსულოვნად განაცხადა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა სავსებით შეესაბამება ხალხის ძირითად ინტერესებს, რომ ეს გეგმა ითვალისწინებს ჩვენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

სტალინურ გეგმეს უდიდესი მაორგანიზებელი ძალა აქვთ. ისინი აგებული არიან მეცნიერულ საფუძველზე. ისინი გამომდინარეობენ საბჭოთა სოზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებია უპირატესობათაგან, ემყარებიან ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას და პატრიოტიზმს. სტალინური გეგმები აღაფრთოვანებენ ადამიანებს, არ აძლევენ მათ მოდუნების საშუალებას, ძოუწოდებენ წინსვლისაკენ, უღვიძებენ ინიციატივას, უნერგავენ ძჩქეფარე ენერგიას. სტალინური გეგმები შემოქმედებიადმი, შემართებისადმი, პროგრესიადმი ბოლშევიკური მისწრაფებით აღაგზნებენ ადამიანთა გულს.

დღეს გამოქვეყნებული კანონი ხუთწლედის შეახებ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია როგორც ახალი გეგმის ძირითადი პოლიტიკური ამოცანები, ისე კონკრეტული დავალებანი წარმოების ზრდისა, კაპიტალური მშენებლობის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ყველა დარგმა ჰპოვა თავისი გამოხატულება ამ გეგმაში. კანონი აღგენს აგრეთვე თექვამეტი მოკავშირე რეპუბლიკიდან თვითეული მათგანია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმებს.

კანონში ნათქვამია: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ეს დონე გადაჭარბებულ იქნას მნიშვნელოვანი ოდენობით“.

ასეთია ახალი ხუთწლედის ძირითადი მიზანი. კანონი განსაზღვრავს არა მარტო საერთო მიზნებს, არამედ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისა და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებსაც.

როგორია ეს ამოცანები? პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება, ურომლისოდაც ჩვენ ნაბიჯსაც ვერ წავდგამდით წინ, ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვის შექმნა. შემდგომი ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნის მიმდინარე წელსვე დამთავრება, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი ამაღლება და ჩვენი შეიარაღებული ძალების უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა, 250 მილიარდზე მეტი მანეთის დაბანდება საწარმოთა აღსადგენად და ახალ საწარმოთა ასაგებად და ამასთან დაკავშირებით სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება, ქალაქებისა და სოფლების აღდგენა და ახალთა მშენებლობა და ჩვენი ქვეყნის საბინაო ფონდის გადიდება, სახალხო შემოსავლისა და სახალხო მოხმარების ზრდა ომამდელი დონის გადამეტებით, მრეწველობაში და ტრანსპორტზე მუშათა მუდმივი კადრების განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, სახალხო განათლების, კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესება, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დაყენების გაუმჯობესება, კულტურისა და ხელოვნების აყვავება, სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო მატერიალური რეზერვებისა და მარაგის გადიდება, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის დაცვა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ადგილობრივი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება.

ჩვენი ქვეყანა უკვე იცნობს წარსულ ხუთწლედთა დიად გაქანებასა და მაღალ ტემპებს, მაგრამ ახალი ხუთწლედის დავალებანი სჭარბობენ ყოველივე იმას, რაც წარსულში იყო. უნდა აღდგენილ, აგებულ და ამოქმედებულ იქნას 45 ბრძმედი. არც ერთ ხუთწლედს ჯერ არ უნახავს ასეთი ციფრი. საბჭოთა კავშირი კვლავ ზედიზედ გააჩაღებს ბრძმედებს. ხუთი წლის მანძილზე უნდა გაორკეცდეს საბჭოთა მანქანათმშენებლობა. ასეთი კოლოსალური ამოცანა არასოდეს არ დაუსახავს არც ერთ სახელმწიფოს. მარტო ააავტომობილო მრეწველობამ წლიურად ნახევარი ძილიონი ავტომობილის გამოშვებამდე უნდა გაადიდოს თავისი სიმძლავრენი. ჩვენ შევევიდით ჩვენი ქვეყნის ფართო ავტომობილიზაციის ხუთწლედში. 5.900 საწარმო უნდა იქნას აღდგენილი, აგებული და ამოქმედებული ხუთი წლის განმავლობაში. ეს ჭეშმარიტად დიადი მშენებლობის ხუთწლედი იქნება.

პირველ ხუთწლედთან შედარებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1950 წელს უნდა გადიდდეს 2¼-ჯერ. გაცილებით მეტი იქნება პური, ხორცი, შაქარი, ერბო-კარაქი, ბამბა, სელი, მატყლი. პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმის ბარათები უკვე ამა წლის შემოდგომიაათვის გაუქმდება. მომავალ წელს მოსახლეობის ბარათებით ნორმირებული მომარაგება შეიცვლება გაშლილი საბჭოთა ვაჭრობით. ჩვენ მტკიცედ წავალთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტებისა და საქონლის სიუხვისაკენ.

ახალი ხუთწლედის გიგანტური გეგმები ადვილი როდია. ჩვენ უძნელეს ამოცანებს ვკისრულობთ. ეს ამოცანები თავისთავად ვერ გადაწყდება, ვინაიდან მზამზარეულად არაფერი მოდის. დიადი სტალინური პროგრამა რომ განვახორციელოთ, ამისათვის უნდა დავძაბოთ მთელი ძალები, მობილიზაცია ვუყოთ ჩვენი ქვეყნის კოლოსალურ რესურსებსა, გაბედულად შევხვდეთ სიძნელეებს, რათა დავძლიოთ ისინი. და ჩვენი ხალხი მზად არის ამისათვის. მასებში უკვე მწიფდება ახალი ხუთწლედის ძთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების იდეა. გეგმის დავალებანი ახალ ძლავრ ენერგიას უნერგავენ მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას.

ახალი შემოქმედებითი ამოცანების შესასრულებლად ჩვენი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს. ჩვენ გვადუღაბებს საერთო იდეა, ერთიან მიზანს მივყევართ სტალინის გენიით გასხივოსნებული გზით, ხალხის ავანგარდია კომუნისტური პარტია, ბრძოლაში გამოწრთობილი, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებით გამდიდრებული, პარტია, რომლისთვისაც არ არსებობს აუღებელი ციხე-სიმაგრეები, პარტია, რომელმაც საბჭოთა ხალხი უდიდეს გამარჯვებამდე მიიყვანა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით ჩვენი ხალხი განახორციელებს კანონს ახალი ხუთწლედის შესახებ.

წინ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ 21/III მოწინავე

(მიღებულია რადიოთი საქართველოს რადიოკომიტეტის მიერ).

სსრ კავშირის ელჩი ირანს ჩავიდა

თეირანი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს თეირანს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგანგებო სრულუფლებიანი ელჩი ი. ვ. სადჩიკოვი.

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტის ბ-ნ ედი ჰილმორის მიერ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტმა ბ-ნმა ჰილმორმა ამხანაგ სტალინს მიმართა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი კითხვებით. ქვემოთ მოყვანილია ბ-ნ ჰილმორის კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი.

კითხვა. რა მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის საშუალებას?

პასუხი. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რადგან იგი მშვიდობიანობის დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების სერიოზულ იარაღს წარმოადგენს.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ძალა ის არის, რომ იგი ემყარება სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და არა იმ პრინციპს, რომ ერთი სახელმწიფო ბატონობდეს მეორეზე. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოახერხა მომავალშიც დაიცვას თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი უთუოდ დიდ დადებითს როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

კითხვა. თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ახლანდელი შიში ომისა, რასაც ბევრ ქვეყანაში განიცდის მრავალი ადამიანი?

პასუხი. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერები და არც მათი არმიები არ ესწრაფვიან ახალ ომს,—მათ სურთ მშვიდობიანობა და ესწრაფვიან მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. მაშასადამე, „ახლანდელი შიში ომისა“ ამ მხრივ როდია გამოწვეული. მე ვფიქრობ, რომ „ახლანდელი შიში ომისა“ გამოწვეულია ზოგიერთი იმ პოლიტიკური ჯგუფის მოქმედებით, რომლებიც ახალი ომის პროპაგანდას ეწევიან და, ამრიგად, უთანხმოებისა და რწმენის უქონლობის თესლს სთესავენ.

კითხვა. რა უნდა გააკეთონ ამჟამად თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების მთავრობებმა მშვიდობიანობისა და სიმშვიდის დასაცავად მთელ მსოფლიოში?

პასუხი. აუცილებელია რომ საზოგადოებრიობამ და სახელმწიფოთა მმართველმა წრეებმა მოაწყონ ფართო კონტრპროპაგანდა ახალი ომის პროპაგანდისტების წინააღმდეგ და მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის, რათა ახალი ომის პროპაგანდისტების ყოველ გამოსვლას ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიოს საზოგადოებრიობისა და პრესის მხრივ, რათა, ამრიგად, დროულად იქნან მხილებულნი ომის გამჩაღებელნი და არ მიეცეთ მათ საშუალება სიტყვის თავისუფლება ბოროტად გამოიყენონ მშვიოობიანობის ინტერესების წინააღმდეგ.

1946 წლის 22 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

I.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

1. საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მისი მამაცი წითელი არმიის გმირულ ღონისძიებათა შედეგად მიღწეულია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — განადგურებულია ჰიტლერული გერმანია და დამარცხებულია იაპონიის იმპერიალიზმი. სსრ კავშირმა ომი დაამთავრა მტერზე სრული გამარჯვებით — ეს არის ომის მთავარი შედეგი.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, პირველი, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმატებით გაუძლო ომის ცეცხლში განსაცდელს და დაამტკიცა თავისი არული სიცოცხლისუნარიანობა.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, მეორე, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ, რომ მრავალერიანმა საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, მესამე, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა წითელმა არმიამ, რომ წითელმა არმიამ გმირულად გადაიტანა ომის ყველა გაჭირვება, სასტიკად დაამარცხა ჩვენი მტრების არმიები და ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

ასეთი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვება შეიძლებოდა აქტიური თავდაცვისათვის მთელი ჩვენი ქვეყნის მხოლოდ წინასწარი მომზადების საფუძველზე. ამ გრანდიოზული საქმის მომზადებას დასჭირდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სამი ხუთწლიანი გეგმის გახორციელება.

აქტიური თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის მომზადების მატერიალური შესაძლებლობანი მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის წინ საბჭოთა კავშირმა შეაქმნა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე, — უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის მეოხებით.

2. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში კომუნისტური პარტიის პროგრამის წარმატებით შესრულების შედეგად სსრ კავშირში აგებულია სოციალისტური საზოგადოება.

საკავშირო კ. პ. (ბ) მითვრამიტე ყრილობამ 1939 წელს, განსაზღვრა რა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები, საბჭოთა ხალხებს დაუსახა ამოცანა — დაეწიონ და გაუსწორონ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, ე. ი. მოსახლეობის სულზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებას დასაბამი მისცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანმა გეგმამ, რომლის ძირითადი დავალებანი ხუთწლედის პირველი სამნახევარი წლის (1938-1941 წლების) განმავლობაში წარმატებით სრულდებოდა, მიუხედავად საომარი მოქმედებისა, რაც ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის საზღვრებზე სწარმოებდა. სოციალისტური მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა — სამრეწველო პროდუქცია ყოველწლიურად დიდდებოდა საშუალოდ 13 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოპოვებულ იქნა მძიმე მრეწველობის განვითარებაში. მესამე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში საწარმოო საშუალებათა წარმოება გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 75 პროცენტით.

სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა სსრ კავშირის აღმოსავლეთ ოლქებში: სამრეწველო პროდუქცია ურალის, ვოლგისპირეთის, ციმბირის, შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონებში მესამე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში ერთნახევარჯერ გადიდდა.

მარცვლეულის წარმოება 1940 წელს 119 მილიონ ტონას შეადგენდა. საბჭოთა ქვეყნის აღმოსავლეთში შეიქმნა საბჭოთა კავშირის უდიდესი ბელელი. სოფლის მეურნეობის აღმავლობა უზრუნველყოფილ იქნა კოლექტივიზაციის პოლიტიკით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა დაგვეფარა დიდი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ახალი ტექნიკა, ყველა აგრონომიული მიღწევა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი სასაქონლო პროდუქცია.

მესამე ხუთწლედის სამნახევარი წლის განმავლობაში განხორციელდა სამშენებლო სამუშაოთა უდიდესი პროგრამა: კაპიტალური სამუშაოთა მოცულობამ 130 მილიარდი მანეთი შეადგინა; სახელმწიფო მრეწველობაში ამუშავებულ იქნა 3 ათასამდე ფაბრიკა, ქარხანა, შახტი, ელექტროსადგური და სხვა საწარმო; მთელ კაპიტალურ სამუშაოთა მესამედზე მეტი ამ პერიოდში სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში სწარმოებდა.

სოციალისტური წარმოების, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, ზრდამ, აღმოსავლეთი რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარებამ და დიდი სახელმწიფო რეზერვების დაგროვებამ უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება. 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადდა: 15 მილიონი ტონა თუჯი, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 18 მილიონ 300 ათასი ტონა ფოლადი, ე. ი. ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 166 მილიონი ტონა ქვანახშირი, ე. ი. ხუთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 31 მილიონი ტონა ნავთი, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 38 მილიონ 300 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, ე. ი. 17 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს; 2 მილიონ 700 ათასი ტონა ნედლი ბამბა, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე ჩატარდა მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის დარგში.

ამავე დროს იზრდებოდა სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა სწრაფად შეივსო ახალი კვალიფიციური კადრებით. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გადიდდა სახალხო მოხმარება. ამაღლდა ხელფასის დონე. გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, გადიდდა მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებითს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, საქმით უზრუნველყოფილ იქნა ბავშვთა საყოველთაო სწავლება.

3. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ 1941 წელს დაარღვია საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი სამშენებლო მუშაობა, შეაწყვიტა სახალხო მეურნეობის საყოველთაო აღმავლობა და სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა.

დიდმა სამამულო ომმა მოითხოვა, რომ მთელი სახალხო მეურნეობა დაქვემდებარებოდა ფრონტის საჭიროებას, ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურების ინტერესებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა მოკლე ვადაში გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე. მრეწველობა გადაყვანილ იქნა საჭურვლის წარმოებაზე.

იმის საფუძველზე, რომ ხუთწლედების განმავლობაში შეიქმნა მსხვილი თანამედროვე მრეწველობა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში და სწრაფად აღდგენილ იქნა 1.300-ზე მეტი მსხვილი საწარმო, რომლებიც ევაკუირებული იყო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე ახალი მშენებლობის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა სსრ კავშირის აღმოსავლეთში, უდიდეს სამეურნეო ღონისძიებათა მეოხებით ევაკუირებული საწარმონი ძირითადად უკვე აღდგენილ იქნენ 1942 წლის პირველ ნახევარში.

სსრ კავშირის გამარჯვება სამამულო ომში მიღწეულია დიდი მსხვერპლის ფასად. გერმანელმა ოკუპანტებმა ჩვენს ქვეყანას უდიდესი ზარალი მიაყენეს. მიუხედავად კოლოსალური ზარალისა და ომიანობის დროის ძნელი პირობებისა, სსრ კავშირის სამხედრო მეურნეობა სამამულო ომის პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა. 1945 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში დამზადდა ერთიორად მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1941 წლის პირველ ნახევარში, ხოლო სამხედრო მრეწველობის პროდუქცია დამზადდა 5,6-ჯერ მეტი. ომის ოთხი წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოება გადიდდა: ურალში—3,6-ჯერ, ციმბირში—2,8-ჯერ, ვოლგისპირეთში—3,4-ჯერ.

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი რაიონები, რომლებიც გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სამამულო ომის წლებში, წითელი არმიის საომარი მასალით, საჭურვლით, ტანკებითა და თვითმფრინავებით მომარაგების მძლავრი ბაზა გახდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სამამულო ომის პირველ დღეებში შექმნილმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით აწრაფად და მტკიცედ დარაზმა სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის გასამკლავებლად. პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობით განხორციელებული უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად სსრ კავშირში ძოკლე ვადაში შეიქმნა გამართული და სწრაფად მზარდი სამხედრო მეურნეობა, რომელმაც უზრუნველჰყო წითელი არმიის მომარაგება აუცილებელი საჭურვლით და რეზერვებით დაგროვება მტრის სრული განადგურებისათვის.

საბჭოთა ახალმწიფომ და კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გამოიყენეს შექმნილი მატერიალური შესაძლებლობანი ომისათვის, რომ განევითარებინათ საბჭოური სამხედრო წარმოება. ომია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სატანკო მრეწველობა ყოველწლიურად საშუალოდ ამზადებდა 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალსა და ჯავშნიან მანქანას; საავიაციო მრეწველობა იმავე პერიოდში ყოველწლიურად ამზადებდა 40 ათასამდე თვითმფრინავს; საარტილერიო მრეწველობა — 120 ათასამდე ყველა ყალიბის ქვემეხს, 450 ათასამდე ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევს, 3 მილიონზე მეტ შაშხანას და დაახლოებით 2 მილიონ ავტომატს; სახალმმტყორცნო მრეწველობა 1942-1944 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ ამზადებდა 100 ათას ნაღმსატყორცნს; მარტო 1944 წელს დამზადებულ იქნა 240 მილიონზე მეტი ყუმბარა, ბომბი და ნაღმი და 7 მილიარდ 400 მილიონი ვაზნა.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი დაუღალავად სრულჰყოფდა წარმოების ტექნიკას, ადიდებდა სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეს, აგებდა ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, უზრუნველჰყოფდა სამხედრო და სამეურნეო ტვირთის შეუფერებელ მიმოზიდვას. მან უდიდესი შრომითი გმირობა ჩაიდინა სამამულო ომში.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ უზრუნველჰყო არმიისა და ჩვენი ქვეყნის მომარაგება სურსათით, ხოლო მრეწველობისა—ნედლეულით. უწინარეს ყოვლისა, ამით გამოჩნდა საკოლმეურნეო წყობილების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, საბჭოთა გლეხობის პატრიოტიზმი.

საბჭოთა ინტელიგენცია ეხმარებოდა მუშებსა და კოლმეურნეებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, წინ სწევდა სამამულო ომის პირობებში თანამედროვე მეცნიერებას და მის მიღწევებს იყენებდა წითელი არმიისათვის საჭურვლის დასამზადებლად.

უმაგალითო შრომითი საგმირო საქმეები ჩაიდინეს თავდადებულმა ქალებმა და სახელოვანმა საბჭოთა ახალგაზრდობამ, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ძირითადი სიმძიმე.

ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ორთა ბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე.

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა სამამულო ომის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში იყო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი მრავალერიანი საბჭოთა ხალხი,—სსრ კავშირის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია,—ერთიან საბრძოლო ბანაკად დაირაზმა. პარტიამ გააერთიანა საბჭოთა კავშირის მთელი ძალები. თავი მოუყარა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მთელ მატერიალურ რესურსებს მტერზე გამარჯვების საქმისათვის.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

განადგურებული არიან როგორც გერმანელი, ისე იაპონელი იმპერიალისტი დამპყრობლები. ამიერიდან ჩვენი სამშობლო განთავისუფლებულია გერმანიის შემოსევის საფრთხისაგან დასავლეთით და იაპონიის შემოსევის საფრთხისაგან აღმოსავლეთით.

4. სსრ კავშირი კვლავ შევიდა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, რომელიც შეწყვეტილი იყო ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმით.

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ სამამულო ომის მსვლელობაში წარმატებით დაიწყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს. ომისშემდგომ პერიოდში იგი განაგრძობს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას სახელმწიფო პერსპექტიული გეგმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ და წარმართავენ სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ **აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ეს დონე გადაჭარბებულ იქნას მნიშვნელოვანი ოდენობით.**

ამ მიზნით აუცილებელია:

1) უზრუნველყოფილ იქნას **პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება,** ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება.

2) მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობისა და იმ მრეწველობის აღმავლობა, რომელიც აწარმოებს მოხმარების საშუალებებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და **ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საქონლის სიუხვის შესაქმნელად.**

3) უზრუნველყოფილ იქნას **შემდგომი ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში,** როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა, რისთვისაც საჭიროა არა. მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადავაჭარბოთ მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

4) დამთავრებულ იქნას 1946 წელს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა, გამოყენებულ იქნას სამხედრო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის.

5) უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა.

6) უზრუნველყოფილ იქნას დაგროვების მაღალი ტემპები, გათვალისწინებულ იქნას ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში 250,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით და 234 მილიარდი მანეთის ღირებულების (1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით) აღდგენის პროცესში მყოფ და ახალ საწარმოთა ამუშავება.

ყოველმხრივ განვითარებულ იქნას სამშენებლო ინდუსტრია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწინავე სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას, აგრეთვე საწარმოო ბაზის შექმნას სამშენებლო მექანიზმების გამოსაშვებად.

7) ყოველმხრივ განვითარებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და შემდგომი მშენებლობის და საბინაო ფონდის გადიდების საქმე; შეიქმნას საცხოვრებელი სახლების მასობრივი საფაბრიკო-საქარხნო დამზადება; გაეწიოს სახელმწიფო დახმარება მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში.

8) გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე და სახალხო მოხმარების დონე, რისთვისაც ყოველმხრივ განვითარდეს კვების მრეწველობა, გაძლიერდეს ფართო მოხმარების საქონლის მასობრივი წარმოება, გამრავლდეს საკოლმეურნეო შემოსავალი, გადიდდეს საქონელბრუნვა; გაუქმდეს მახლობელ დროში საბარათო სისტემა და იგი შეიცვალოს გაფართოებული კულტურული საბჭოთა ვაჭრობით.

9) განმტკიცდეს მრეწველობაში და ტრანსპორტზე მუშების მუდმივი ვადრები შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საწარმოებში საუკეთესო საბინაო და მატერიალური პირობების უზრუნველყოფის საფუძველზე; უზრუნველყოფილ იქნას მაღალკვალიფიციური ტექნიკური კადრების ზრდა.

10) გადიდებულ იქნას შრომის ნაყოფიერება რვა საათის სამუშაო დღის სრული გამოყენების, მრეწველობის შრომისტევადი დარგების ყოველმხრივი მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და საწარმოო პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

11) აღდგენილ და გაფართოებულ იქნას დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი; გაუმჯობესებულ იქნას კადრების მომზადება წარმოებისათვის შრომითი რეზერვების გადიდებისა და ახალი მუშების საწარმოო სწავლების გზით.

12) გაუმჯობესდეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა;

უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება.

13) გადიდდეს სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო მატერიალური რეზერვები და მარაგები წარმოების სეზონური შენელების ლიკვიდაციისა და მიმდინარე სამეურნეო სიძნელეთა თავიდან აცილების მიზნით.

14) განმტკიცდეს ფულის ტრიალი და საკრედიტო ურთიერთობა სახალხო მეურნეობაში; ამაღლებულ იქნას სახალხო მეურნეობაში მოგებისა და სამეურნეო აღრიცხვიანობის მნიშვნელობა, როგორც წარმოების ზრდის დამატებითი სტიმული; პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გადიდდეს წარმოების ყველა დარგის მომგებიანობა; გაძლიერდეს სამეურნეო ორგანიზაციების უფლებანი რესურსების მობილიზაციისადმი, მომჭირნეობის რეჟიმისადმი და უყაირათობისა და უნაყოფო ხარჯების გამო დანაკარგთა გადაჭრითი ლიკვიდაციისადმი; გადიდდეს პრემიების წილი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასში საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

15) ყოველმხრივ განვითარდეს მოკავშირე რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივა საწარმოო ძალთა აღდგენისა და განვითარების საქმეში: უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში რესპუბლიკური მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცება და ზრდა; უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ყოველმხრივი განვითარება, განსაკუთრებით სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების, ადგილობრივი სათბობის მოპოვების, ადგილობრივი საჭიროებისათვის ნაგლინისა და სხმულის, სამშენებლო და ხე-ტყის მასალის, ლითონნაკეთობათა წარმოებისა და რესპუბლიკური მეურნეობისათვის მოწყობილობის წარმოების გადიდება;

გათვალისწინებულ იქნას, რომ ფართო მოხმარების ის საქონელი, რასაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია ამზადებს, მთლიანად იმყოფება მოკავშირე რესპუბლიკის განკარგულებაში, ამასთან რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები თავისი შეხედულებით განსაზღვრავენ პროდუქციის წილს, რომელიც რჩება რესპუბლიკაში მოსახმარებლად, და პროდუქციის იმ წილს, რომელიც საქონელბრუნვის წესით იგზავნება სხვა რესპუბლიკებში ბაზრის ფასების საერთო სახელმწიფო რეგულირების შენარჩუნებით.

ამ ამოცანების შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მომზადებული. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის და დაწესდეს შემდეგი დავალებანი ამ პერიოდისათვის.

II.

წარმოების ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმა

მრეწველობის დარგში

1. დაწესდეს პროდუქციის **მოცულობა** სსრ კავშირის მთელ მრეწველობაში 1950 წელს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელ წელს 205 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1926-1927 წლის ფასებით) 1940 წლის 138,5 მილიარდი მანეთის ნაცვლად, ე. ი. სამრეწველო პროდუქციის 48 პროცენტით ზრდა 1940 წელთან—ომის წინა წელთან შედარებით.

2. განსაზღვროს პროდუქციის წარმოების შემდეგი დონე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში 1950 წლისათვის:

მეტალურგია

თუჯი	19,5 მილიონი ტონა
ფოლადი	25,4 მილიონი ტონა
ნაგლინი	17,8 მილიონი ტონა

საათბოლი და ენერგეტიკა

ქვანახშირი	250,0 მილიონი ტონა
ნავთი	35,4 მილიონი ტონა
ქვანახშირისა და ფიქალების გაზი	1,9 მილიარდი კუბმეტრი
ბუნებრივი გაზი	8,4 მილიარდი კუბმეტრი
ელექტროენერგია	82,0 მილიარდი კილოვატსაათი

მოძრავი შემადგენლობა

მაგისტრალური ორთქლმავალი	2.200 ცალი
მაგისტრალური თბომავალი	300 ცალი
მაგისტრალური ელექტრომავალი	220 ცალი
საჭონლის ვაგონი (ორღერძიანი გამოთვლითი)	146 ათასი ცალი
სამგზავრო ვაგონი	2.600 ცალი

ავტომობილები

სატვირთო ავტომობილი	428,0 ათასი ცალი
მსუბუქი ავტომობილი	65,6 ათასი ცალი
ავტობუსი	6,4 ათასი ცალი

მოწყობილობა

მეტალურგიული მოწყობილობა	102,9 ათასი ტონა
ორთქლის ტურბინი	2.906 ათასი კვტ.
დიდი ჰიდროტურბინი	372 ათასი კვტ.
საშუალო ჰიდროტურბინი	150 ათასი კვტ.
წვრილი ჰიდროტურბინი	500 ათასი კვტ.
მოტორი 100 კვტ-მდე	624 ათასი ცალი
მოტორი 100 კილოვატზე მეტი	9.000 ცალი
ლითონმჭრელი დაზგა	74 ათასი ცალი
სართავი მანქანა	1.400 ათასი თითისტარი
საქსოვი დაზგა	25 ათასი ცალი

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

ტრაქტორი	112,0 ათასი ცალი
სატრაქტორო გუთანი	110,0 ათასი ცალი
სატრაქტორო კულტივატორი	82,3 ათასი ცალი
სატრაქტორო სათესი მანქანა	83,3 ათასი ცალი
რთული სალეწი მანქანა	18,3 ათასი ცალი

ქიმიკატები და მინერალური სასუქი

კაუსტიკური სოდა	390 ათასი ტონა
კალცინირებული სოდა	800 ათასი ტონა
მინერალური სასუქები (სუფერფოსფატი, აზოტიანი და კალიუმიანი სასუქი)	5.100 ათასი ტონა
სინთეზური საღებავები	43 ათასი ტონა

ხე-ტყისა და სამშენებლო მასალა

მერქნის გამოტანა	280,0 მილიონი კუბმეტრი
დახერხილი მასალა	39,0 მილიონი კუბმეტრი
ცემენტი	10,5 მილიონი ტონა
ფიქალი	410.0 მილიონი ფილა
ფანჯრის მინა	80,0 მილიონი კვ. მეტრი

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობანი

ჩითეულობა	4.686 მილიონი მეტრი
შალის ქსოვილი	159,4 მილიონი მეტრი
ტყავის ფეხსაცმელი	240 მილიონი წყვილი
რეზინის ფეხსაცმელი	88,6 მილიონი წყვილი
წინდის ნაკეთობანი	580 მილიონი წყვილი

კვების მრეწველობის პროდუქტები

ხორცი	1.300 ათასი ტონა
ერბო-კარაქი	275 ათასი ტონა
საქმელი ზეთი	880 ათასი ტონა
თევზი	2.200 ათასი ტონა
შაქარი	2.400 ათასი ტონა
ფქვილი	9.000 ათასი ტონა
სპირტი	100,8 მილიონი დეკალიტრი
საპონი	870 ათასი ტონა

3. წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად დაწესდეს სსრ კავშირის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 157,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით).

4. **შავი მეტალურგიის** დარგში, რომლის აღმავლობაც ბევრად განსაზღვრავს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების ომამდელი დონე 35 პროცენტით. რკინის მადნის ამოღება 1950 წელს აყვანილ იქნას 40 მილიონ ტონამდე, კოქსის წარმოება 30 მილიონ ტონამდე, შამოტისა 2,78 მილიონ ტონამდე, დინასისა 0,98 მილიონ ტონამდე. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას რკინიგზის რელსების წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოშვება 1950 წელს 1.350 ათასი ტონის რაოდენობით. აყვანილ იქნას რკინის მილების წარმოება 1950 წელს 1,5 მილიონ ტონამდე.

სულ ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილ, აგებულ და ამუშავებულ იქნას 45 ბრძმედი 12,8 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 165 მარტენის ღუმელი, 15 კონვერტორი და 90 ელექტროღუმელი 16,2 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 104 საგლინავი დაზგა 11,7 მილიონი ტონა მზა ნაგლინის გამოშვების საერთო სიმძლავრისა, 63 საკოქსო ბატარეა 19,1 მილიონი ტონა კოქსის გამოწვის საერთო სიმძლავრისა. ამუშავებულ იქნას მაღაროები წელიწადში 35,4 მილიონი ტონა მადნის სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მადნისა და კოქსის წარმოების ომამდელი დონე სამხრეთის მეტალურგიაში. უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული ქარხნების აღდგენა სსრ კავშირის სამხრეთში, მათ შორის 17 დიდი მეტალურგიული ქარხნისა. აღდგენილ იქნას შვიდი მილსაგლინავი და მილსასხმელი ქარხანა.

განგრძობილ იქნას სსრ კავშირის მეტალურგიული ბაზის ყოველმხრივი განვითარება ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ძირითადად დამთავრდეს ნოვი ტაგილისა და ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა. განგრძობილ იქნას ოთხი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ურალსა და ციმბირში. სახალხო მეურნეობის ელექტროტექნიკური ტრანსფორმატორული და დინამური ფოლადით უზრუნველყოფისათვის აგებულ იქნას ელექტროტექნიკური ფოლადების ახალი ქარხანა. აგებულ იქნას მეტალურგიული ქარხანა საქართველოს სს რესპუბლიკაში და მილსაგლინავი ქარხანა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. დაწყებულ იქნას ახალი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში და ლენინგრადის რაიონში.

შეიქმნას საკუთარი რკინის მადნის ბაზა შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ამიერკავკასიაში. აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნას კრივოი როგის რკინის მადნის აუზის, კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატის, ლიპეცკისა და ტულის სამადნოების, ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოთა შემდგომი განვითარება. 2 მილიონი ტონით გადიდდეს სიმძლავრენი რკინის მადნის მოსაპოვებლად გორნაია შორიაში. მოეწყოს რკინის მადნის მოპოვება კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში. შემცირდეს მეტალურგიული ნედლეულის შორი გადაზიდვა, კერძოდ, შემცირდეს ურალის რკინის მადნის შეტანა კუზბასში.

გაფართოვდეს გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები, განსაკუთრებით სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში, რათა შემდგომ გადიდდეს რკინის მადნისა და მეტალურგიული ნედლეულის სამრეწველო მარაგი მოქმედი მეტალურგიული ქარხნებისათვის და ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად. გამოკვლეულ იქნას რკინის მადნის სამრეწველო მარაგი 1.680 მილიონი ტონის რაოდენობით, მათ შორის დასავლეთ ციმბირში 100 მილიონი ტონა. და მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 110 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადებულ იქნას სამრეწველო მარაგი ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად ჩრდილოეთ ურალში, ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში.

აღდგენილ იქნას სამხრეთში თხელი ცივადნადადენი ფოლადის წარმოება და გაფართოვდეს მისი წარმოება აღმოსავლეთში; მოეწყოს გალაჭედილი თუნუქისა და გაფართოვდეს თითრი თუნუქის წარმოება. ყოველმხრივ განვითარდეს პროფილური ლითონის. მცირედლეგირებული ფოლადების, პრეციზული შენადნობების, ტრანსფორმატული და დინამური ფოლადების წარმოება მცირე მაგნიტური დანაკარგებით. გადიდდეს მაღალლეგირებული ფოლადების წარმოება მაღალ წნევისა და მაღალი ტემპერატურების ქვაბებისა **და ტურბინების დასამზადებლად.**

ჩატარდეს შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია სამრეწველო. მარტენისა და საგლინავ საამქროებში, კერძოდ, სამხრეთის მეტალურგიული ქარხნების აღდგენის დროს. მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნების მადნის, ქვანახშირისა და კოქსის საწყობები აღჭურვილ იქნას თანამედროვე ტვირთამწევი ონკანებით; მოწყობილ იქნას ქარხნებისა და სამადნოების სატრანსპორტო საამქროები თვითგანმტვირთავი ვაგონებით. ფართოდ დაინერგოს ლითონის ცეცხლით გაწმენდა. აღჭურვილ იქნას მეტალურგიული აგრეგატები საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითა და აპარატურით მართვის ავტომატიზაციის დარგში. სამრეწველო მასშტაბებით ათვისებულ იქნას გაუხვებული ბერვა ჟანგბადით საბრძმედე და ფოლადსამსხმელო წარმოებაში.

განვითარებულ იქნას მწირი მადნების გაუხვება; გადიდდეს აგლომერატის წარმოება და გაუმჯობესებულ იქნას სადნობად ნედლი მასალის მომზადება უფრო მუდმივი შემადგენლობის ნაზავის მისაღწევად.

აღჭურვილ იქნას მოწყობილობით მეტალურგიული ქარხნების სკრაპის გადამამუშავებელი ბაზები და ურნალის საამქროები და აგებულ იქნას ჯართის გადამამუშავებელი მთელი რიგი ახალი მექანიზებული ქარხნები. გადიდდეს გაზსადენთა ქსელი კოქსის გაზის გადასაცემად მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით.

5. **ფერადი მეტალურგიის** დარგში—მოქმედ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, ახალი მაღაროებისა და ქარხნების მშენებლობის, იმ რაიონების საწარმოთა აღდგენის, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების ზრდის მაღალი ტემპი. გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე სპილენძის წარმოება 1,6-ჯერ, ალუმინისა 2-ჯერ, მაგნიუმისა 2,7-ჯერ, ნიკელისა 1,9-ჯერ, ტყვიისა 2,6-ჯერ, თუთიისა 2,5-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატისა 4,4-ჯერ, მოლიბდენის კონცენტრატისა 2,1-ჯერ, კალისა 2,7-ჯერ. გაფართოვდეს ფერადი ლითონების ნაგლინის წარმოება, განსაკუთრებით რთული შენადნობებიდან. უზრუნველყოფილ იქნას ფერადი მეტალურგიის მადნის ბაზის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება და დაძლეულ იქნას ტყვიის მრეწველობის ნედლეულის ბაზის ჩამორჩენა.

გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე სპილენძის მრეწველობის მაღაროების, გამაუხვებელი ფაბრიკა-ქარხნების სიმძლავრეები. დამთავრდეს სპილენძის მადნის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში. ავებულ იქნას ახალი სპილენძსადნობი კომბინატის პირველი რიგი სამხრეთ ურალში. აგებულ და ამუშავებულ იქნას ახალი სპილენძ-ელექტროლიზის ქარხანა. გადიდდეს ალუმინის მრეწველობის მაღაროებისა და ქარხნების სიმძლავრეები. აღდგენილ იქნას ბოქსიტის მაღაროები, ორი ალუმინის ქარხანა და ერთი თიხამიწის ქარხანა. აგებულ და ამუშავებულ იქნას ალუმინის ორი ახალი ქარხანა. გადიდდეს ალუმინის ქარხნების სიმძლავრეები ჩრდილოეთ ურალსა და კუზბასში. ამუშავებულ იქნას თიხამიწის ქარხნის პირველი რიგი აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში. გადიდდეს ელექტროლიზური ნიკელის წარმოების სიმძლავრეები ნიკელის ორ კომბინატში. ამუშავებულ იქნას ნიკელის ახალი კომბინატი. გაფართოვდეს თუთიის მოქმედი ქარხნები; აღდგენილ იქნას თუთიის ორი ქარხანა სსრ კავშირის სამხრეთში, აგებულ იქნას თუთიის ახალი ქარხანა და ტყვიის ახალი ქარხანა. აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატი ჩრდილოეთ კავკასიაში და გაგრძელდეს საწარმოთა შუა აზიისა და აღმოსავლეთ ციმბირის ვოლფრამ-მოლიბდენის გამოკვლეული საბადოების ბაზაზე. აგებულ და ამუშავებულ იქნას ფერადი ნაგლინის სამი ახალი ქარხნის პირველი რიგი. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას ელექტროდის ქარხანა უკრაინის სს რესპუბლიკაში და აგებულ იქნას ელექტროდის ერთი ახალი ქარხანა ჩრდილოეთ კავკასიაში. აგებულ იქნას ორი ახალი საწარმო მაღალხარისხოვან მაგარ შენადნობთა საწარმოებლად.

ათვისებულ იქნას ახალი სახის ნედლეულთა გადამუშავება თიხამიწის — ნეფელინებისა და ალუნიტების საწარმოებლად. გადიდდეს სპილენძის, ტყვიის, ბოქსიტების, ნიკელის, ვოლფრამისა და მოლიბდენის სამრეწველო კატეგორიების მადანთა მარაგი. გამოკვლეულ იქნას და ჩატარდეს მუშაობა სამხრეთსა და ციმბირში ალუმინის ქარხნებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზის მოსამზადებლად. ჩატარდეს ფართო საძიებო სამუშაოები და გამოვლინებულ იქნას ახალი საბადოები ალუმინის, ნიკელის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ოქროს და ახალი იშვიათი ლითონების სამთამადნო საწარმოთა და ქარხანათა მშენებლობისათვის.

მოეწყოს ყველა იმ მადნეულობის კომპლექსური გამოყენება, რომლებსაც ფერადი ლითონების მადანი შეიცავს, მათ შორის გოგირდოვანი ნედლეულისა, გადამუშავების უფრო სრულყოფილი მეთოდების ხმარებისა და ქიმიურ წარმოებასთან ფერადი მეტალურგიის კომბინირების გზით. ჩატარდეს ფერადი ლითონების მადნის მოპოვებისა და გადამუშავების ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაცია, აგრეთვე გამაუხვებელ ფაბრიკებსა და მეტალურგიულ ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაცია. ათვისებულ იქნას, სამრეწველო მასშტაბით ლითონის მაგნიუმის ელექტროთერმული გზით წარმოება.

6. უზრუნველყოფილ იქნას **ქვანახშირის მრეწველობის** ზრდის სწრაფი ტემპი, გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება 1950 წელს 51 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით. კოქსვადი ქვანახშირის (დონეცის, კუზნეცკის, ყარაგანდის, კიზელის, პეჩორის, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის) ამოღება აყვანილ იქნას 57,7 მილიონ ტონამდე, რაც საჭიროა მრეწველობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის. აღდგენილ იქნას ქვანახშირის ომამდელი მოპოვება დონბასში და 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას ეს დონე ქვანახშირის ამოღების 88 მილიონ ტონამდე აყვანით.

დაიწყოს ქვანახშირის ახალი აუზებისა და რაიონების—ბურეისა, ხაბაროვსკის მხარეში, ეკიბასტუზისა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, კუიბიშევისა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, უზგენისა ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში—ათვისება და ყოველმხრივ განვითარდეს ადგილობრივი ქვანახშირის მოპოვების ახალი ბაზები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, სადაც კი მოიპოვება ქვანახშირის საბადო, რათა შორიდან შეზიდული სათბობი შეიცვალოს ადგილობრივით.

ამუშავებულ იქნას 1946-1950 წლებში 183 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. დამთავრდეს დონბასის ქვანახშირის შახტების აღდგენა 1949 წელს, რისთვისაც საისენი აღდგენილ იქნას ქვანახშირის 182 ძირითადი შახტი 67,7 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა და დამატებით აგებულ იქნას 60 ახალი შახტი 14,1 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა. უზრუნველყოფილ იქნას პირველ რიგში კოქსვადი ქვანახშირის შახტების აღდგენა და ახალი ასეთი შახტების მშენებლობა.

აგებულ და ამუშავებულ იქნას მოსკოვსახლო აუზში 1946-1950 წლების მანძილზე ქვანახშირის 66 ახალი შახტი 18,8 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა, კუზბასში 30 შახტი 18 მილიონი ტონა სიმძლავრისა, ყარაგანდაში 17 შახტი და ჭრილი 6.5 მილიონი ტონა სიმძლავრისა, ურალში 49 შახტი და ჭრილი 19,0 მილიონი ტონა სიმძლავრისა და შუა აზიაში ქვანახშირის 9 შახტი 3,2 მილიონი ტონა სიმძლავრისა.

გაფართოვდეს ქვანახშირის ახალი ბაზა ევროპის ჩრდილოეთისა და ლენინგრადის რაიონებისათვის — პეჩორის ქვანახშირის აუზი. ამ რაიონში ამოქმედდეს 7.7 მილიონი ტონა სიმძლავრის ახალი შახტები. შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობა უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთის ოლქებში და ამოქმედდეს 13 შახტი და ჭრილი 9.7 მილიონი ტონა სიმძლავრისა. კავკასიაში ამოქმედდეს 10 ახალი შახტი 3.2 მილიონი ტონა სიმძლავრისა და შორეულ აღმოსავლეთში 8 შახტი 1,25 მილიონი ტონა სიმძლავრისა.

შახტმშენებლობის დადგენილი მოცულობის უზრუნველსაყოფად თართოდ დაინერგოს მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები ქვანახშირის მრეწველობის საშახტო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობის ვადების მნიშვნელოვანი შემცირება.

ქვანახშირის მოპოვების ზრდის, მშენებლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დადგენილი პროგრამის შესასრულებლად ყოველმხრივ მექანიზებულ იქნას შრომატევადი პროცესები ქვანახშირის მრეწველობაში, კერძოდ უზრუნველყოფილ იქნას ფართო მუშაობის ჩატარება ქვანახშირის ჩაყრისა და ქანის დატვირთვის მექანიზაციის დარგში. ამის შესაბამისად 3-4-ჯერ გადიდდეს მექანიზმების პარკი ქვანახშირის მრეწველობაში ომამდელ დონისთან შედარებით. გაფართოვდეს ქვანახშირის მრეწველობის მანქანათმშენებელი ბაზები სსრ კავშირის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებში. აგებულ და ამუშავებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე 13 ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა. აღდგენილ და რეკონსტრუირებულ იქნას 16 ქარხანა სამთო-საშახტო მოწყობილობის საწარმოებლად. ფართოდ დაინერგოს ქვანახშირის მრეწველობაში ლითონითა და რკინაბეტონით ჯამაგრება ნაცვლად ხით გამაგრებისა მოსამზადებელ და ასაწმენდ სამუშაოებზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ი. ბ. სტალინმა და ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს პოლონეთის პროფესიული კავშირების დელეგაცია

22 მარტს ი. ბ. სტალინმა და ვ. მ. მოლოტოვმა კრემლში მიიღეს პოლონეთის პროფესიული კავშირების დელეგაცია, რომელშიც შედიან: **კ. რუსინეკი**—პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის გენერალური მდივანი, **ი. შჩესნიაკი**—პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, **ს. ძალოლეპში**—პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის წევრი, **ა. შჩესნიაკი**—მაღაროელთა კავშირის ქალთა შორის მუშაობის ორგანიზატორი, **ი. კეშჩინსკი**—მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე, **ს. კოვალჩიკი**—პროფკავშირთა კრაკოვის საოლქო კომისიის თავმჯდომარე, **მ. ეზერსკაია**—პროფკავშირთა პოზნანის საოლქო კომისიის კულტგანყოფილების ინსტრუქტორი, **ბ. პოლიაკი**—პროფკავშირთა დანციგის საოლქო კომისიისაგან, **ი. სობჩაკი**—პროფკავშირთა ვარშავის საბჭოსაგან, **ი. ზუბრიცკაია**—ფაბრიკის სასადილოს გამგე ფეიქართა კავშირისაგან, **ა. კვეჩინსკი**—საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე და ფეიქართა კავშირის მთავარი გამგეობის წევრი, **ი. ლესოვსკი**—მკვებავთა კავშირის თავმჯდომარე, **ხ. ენჯეევსკი**—კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის გენერალური მდივანი, **ე. ბუზე**—რკინიგზელთა კავშირის მთავარი გამგეობის გენერალური მდივანი, **ზ. პომიანოვსკი**—დაწესებულებათა მუშაკების კავშირისაგან, **გ. კუზელი**—მშენებელთა კავშირის თავმჯდომარე, **ი. სიკორსკი**—კომუნალურ მუშაკთა კავშირისაგან, **ვ. ფერენცი**—პოლონელ მასწავლებელთა კავშირისაგან, **ბ. ორლოვსკი**—პოლონელ მასწავლებელთა კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, **ე. ეფიკი**—ნავთის მუშაკთა კავშირის გენერალური მდივანი, **ხ. კრავჩინსკი**—ტრანსპორტის მუშათა კავშირის ხაზინადარი, **მ. კოსინსკი**—ქიმიური მრეწველობის კავშირი, **მ. კრალი**—პოლონეთის პრესის საagენტოსაგან, **ს. ვიდავსკი**—ქალაქ ლოძის ფეიქართა კავშირის ინსტრუქტორი, **ა. ვოში**—მაღაროელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

მიღებას დაესწრნენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნები ლ. ნ. სოლოვიოვი და ე. ი. სიდორენკო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

1) საგარეო საქმეთა სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ი. ვიშინსკი (საერთო საკითხებზე), ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი.

2) საგარეო ვაჭრობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. დ. კრუტიკოვი (საერთო საკითხებზე), ვ. ა. სერგეევი, მ. რ. კუზმინი, მ. ს. სტეპანოვი, ვ. ს. მიგუნოვი, ს. ა. ბორისოვი, ი. ფ. სემიჩასტნოვი.

3) შეიარაღებული ძალების სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: არმიის გენერალი ნ. ა. ბულგანინი (საერთო საკითხებზე), საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი (იგივე — შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი), საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი (იგივე — სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი), ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი (იგივე — სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი), ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. ვერშინინი (იგივე — სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი), არმიის გენერალი ა. ვ. ხრულიოვი (იგივე—შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსი).

4) გზათა სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ბ. პ. ბეშჩევი (საერთო საკითხებზე), ი. დ. გოცირიძე, ნ. ი. სინეგუბოვი, ვ. ნ. სოლოგუბოვი, ი. ვ. შჩუროვი, ვ. ა. გარნიკი.

5) შავი მეტალურგიის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: პ. ი. ვორობიოვი (საერთო საკითხებზე), ვ. ს. ბიჩკოვი, ფ. ა. მერკულოვი, ა. მ. პიტერსკი, ა. გ. შერემეტიევი, ე. ა. ჯაფარიძე, გ. გ. ვოდნევი, ს. ი. რუზნიკოვი.

6) ფერადი მეტალურგიის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ი. ვ. არხიპოვი (საერთო საკითხებზე), ვ. ა. ფლოროვი, ს. პ. სოლოვიოვი, ს. პ. სამუსენკო, ე. პ. სლავსკი, ა. ნ. მალინინი.

7) დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: კ. ი. პოჩენკოვი (საერთო საკითხებზე), ა. ა. სავჩენკო, ი. კ. სტანჩენკო, ა. მ. ვალენტინოვი.

8) აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ე. ტ. ობაკუმოვი (საერთო საკითხებზე), გ. გ. სპიცინი, ა. ს. კუზმიჩი, ი. გ. კურაკოვი, ვ. პ. გორლოვი, ვ. ი. გოლბერტი.

9) ქიმიური მრეწველობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ბ. დ. მელნიკი (საერთო საკითხებზე), ა. გ. კასტკინი, ფ. ტ. გოლოვანევი, დ. პ. ნოვიკოვი, ე. მ. ლოკშინი, ზ. ე. შჩედრინსკი, ვ. მ. რომანოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის სსრ კავშირის კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი გარდაიქმნას სსრ კავშირის კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 20 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. გ. ბოლშაკოვის სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ივანე გრიგოლის-ძე **ბოლშაკოვი** სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 20 მარტი.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ნიკოპოლელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჭიათურაში ჩამოვიდა ნიკოპოლელ მაღაროელთა დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობს მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. რიბაკოვი. დელეგაციაში შედიან: მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მნგრეველი მ. პისჩუკი, ამავე მაღაროს მთავარი მარკშეიდერი ა. ოსსნოვი, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს მნგრეველი გრ. რევუკა, ამავე მაღაროს გამამდიდრებელი ქარხნის უფროსი კ. ბალაშუკი და სამხრეთის რკინა-მადნის მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ვ. კოროგოდი.

დელეგატები გაეცნობიან მაღაროების მუშაობას და ჭიათურელ მაღაროელებთან განაახლებენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

პ. ჭიოკაძე

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსახკომის 20 მარტის ცნობებით).

რაიონები	საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	27,2		ასპინძა	10,6	4,2
აჭარის ასსრ	2,1		ხაშური	18,8	6,2
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	23,9		ქარელი	15,2	3,9
აბაშა	67,9		გორი	17,1	3,1
ცხაკაია	42,9		კასპი	18,9	6,6
გეგეჭკორი	46,0		ბორჯომი	1,1	0,6
ზუგდიდი	13,0		დუშეთი	9,2	2,3
ხობი	33,0		თეთრი წყაროო	31,5	11,9
წალენჯიხა	43,2		გურჯაანი	54,1	16,9
ჩხოროწყუ	28,8		კაკრეთი	71,5	31,0
მაიაჩიძე	18,6		სიღნაღი	80,8	25,6
ლანჩხუთი	24,1		წითელწყაროო	75,6	9,0
ჩოხატაური	8,9		თელავი	34,7	8,0
ფოთი	35,0		ახმეტა	46,6	11,2
ქუთაისი	47,6	1,8	ყვარელი	99,1	19,8
წყალტუბო	32,2		ლაგოდეხი	54,1	8,3
საჩხერე	52,3	0,4	თბილისი	61,3	28,4
წულუკიძე	52,1		მცხეთა	49,1	7,5
ვანი	35,1		ყარაია	111,3	17,6
ზესტაფონი	1,9		ბორჩალო	33,5	0,2
ცაგერი	—	0,8	ბოლნისი	37,7	
ახალციხე	—	0,6	საგარეჯო	24,0	6,8
ადიგენი	13,0				

20 მარტისათვის ხვნა დაწყებული არ ჰქონდათ მაიაკოვსკის, ჩხარის, ჭიათურის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ონის, აქბრ ოლაურის, ცაგერის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, თიანეთის, ყაზბეგისა და ბაშკიჩეთის რაიონებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ეროვნებათა საბჭოში

დეპუტატ **ზ. ნ. კეცხოველის** სიტყვა

(სტალინირის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სს რესპუბლიკა)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მთავრობის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად შემოტანილი პროექტი კანონისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი განვითარების გრანდიოზულ პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ომით გამოწვეულ ძძიმე ჭრილობათა მოშუშებას და ჩვენი ქვეყნის იმ რაიონების აღდგენას, რომლებიც მტრისაგან დაზარალდნენ, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენას და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მნიშვნელოვან აღმავლობას.

ჰიტლერულ გერმანიასა და იაპონიის იმპერიალიზმზე გამარჯვება, რაც საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა წითელმა არმიამ მოიპოვეს დიდი მხედართმთავრის, სსრ კავშირის ხალხთა ბელადის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით, მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობას, ცხადჰყოფს საბჭოთა ეკონომიკის ძალას და ჩვენი შეიარაღებული ძალების ურყევ სიმძლავრეს.

ძლევამოსილად დაამთავრა რა დიდი სამამულო ომი, ჩვენი ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას. მის წინაშე დაისახა ახალი გრანდიოზული ამოცანები, რომლებმაც თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ამ სესიის განსახილველად წარმოდგენილ ხუთწლიანი გეგმის პროექტში.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება შესაძლებელი გახდა სამი სტალინური ხუთწლედის განხორციელების შედეგად, რომლებმაც უზრუნველჰყვეს მთელი ჩვენი ქვეყნის მომზადება აქტიური თავდაცვისათვის.

სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია შესანიშნავ წარმატებებს სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში, მოსახლეობის კულტურისა და კეთილდღეობის აღმავლობას. ყველა ამ წარმატებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ სტალინს.

სტალინურ ხუთწლედთა განმავლობაში საქართველო მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანა გახდა. ამ წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა მსხვილი მრეწველობის 800-ზე მეტი საწარმო. გაჩნდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, ძოხდა ძველი საწარმოების ძირითადი რეკონსტრუქცია.

ქვანახშირის, მარგანეცის და მანქანათმშენებელი მრეწველობის უდიდეს ზრდასთან ერთად დიდად განვითარდა კვების, საფეიქრო, მსუბუქი მრეწველობა და სხვა დარგები.

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა მიღწევები. საკავშირო მთავრობამ და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური დახმარებით საქართველოში ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით ერდღესი მუშაობა ჩატარდა სუბტროპიკული და სპეციალური კულტურების—ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, ვაზის, ტუნგოს, დაფნის, ხეხილისა და სხვა ძვირფასი კულტურების განაყოფიერებლად. საქართველო უკვე ახლა წარმოადგენს სუბტროპიკული მეურნეობის მძლავრ ბაზას, რომლის პროდუქციითაც მარაგდებიან საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრები.

უდიდესმა შემოქმედებითმა მუშაობამ, რაც საქართველოს მშრომელებმა სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე გასწიეს, მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამული ომის პერიოდში.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა შესაბამისად საქართველოს სახალხო მეურნეობა სამამულო ომის დასაწყისიდან საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა. რესპუბლიკის მრეწველობამ იწყო ჩვენი გმირი წითელი არმიის მოსამარაგებლად საბრძოლო მანქანების, საომარი მასალის, შეიარაღების საშუალებების, ტანსაცმლის, საინტენდანტო ქონების და საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვება.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის წლებში მრავალ ათეულ მილიონობით ფუთი სხვადასხვა სურსათი და ნედლეული ჩაბარეს სახელმწიფოს.

ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა გერმანელ ფაშისტთა განადგურების საქმეში. ქართველი ხალხის ასეულ ათასობით შვილი სიცოცხლის დაუზოგავად, უსაზღვრო სიმამაცით იბრძოდა მოსკოვის, ლენინგრადის კართან, სტალინგრადთან, ბელორუსიაში, უკრაინაში, ყირიმში, კავკასიის მთის ძირებში.

თავის მოხსენებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შეაახებ ამხ. ვოზნესენსკიმ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი განვითარების პროგრამა. ეს გეგმა სავსებით შეესაბამება ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მითითებებს, რომლებიც მოცემულია ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს მთლიანად საბჭოთა კავშირის და ცალკე თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობის შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობის, კულტურის აღმავლობას და მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებას.

საქართველოში იქმნება მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა პირნათლად გავართვათ თავი საქართველოში ახლად შექმნილი სამრეწველო საწარმოების ათვისებას.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების გადიდება თითქმის ერთიოთხად, ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში ახალი შახტების ამოქმედებით. ჭიათურის მარგანეცის ამოღება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკავშირო მეტალურგიისათვის, 2,5-ჯერ დიდდება 1945 წელთან შედარებით.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ უნდა დავამთავროთ ხრამის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, დავიწყოთ და დავამთავროთ ახალი რაიონული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და განვახორციელოთ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში ფულადი გამოხატულებით აყვანილ უნდა იქნას 1 მილიარდ 100 მილიონ მანეთამდე. ამასთან მნიშვნელოვნად მატულობს ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია, კერძოდ, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

გათვალისწინებულია საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვების გადიდება. შალეულის გამოშვება ხუთწლედში ორნახევარჯერ და უფრო მეტად დიდდება, აბრეშუმის ქსოვილთა გამოშვება—ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ფეხსაცმლისა—ოთხჯერ და უფრო მეტად.

კიდევ უფრო მეტად ვითარდება კვების მრეწველობა, რომელიც თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. 1950 წელს გამოშვებულ უნდა იქნას 18 მილიონ კილოგრამამდე მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი. ყურძნის ხარისხოვანი ქართული ღვინოების გამოშვება ხუთწლედში დიდდება თითქმის ორნახევარჯერ. იზრდება მარკის ღვინოების, საბჭოთა შამპანურის, ქართული კონიაკის, ხილის კონსერვებისა და კვების სხვა პროდუქტების წარმოება.

ხუთწლიანი გეგმა სერიოზულ ამოცანებს გვიყენებს სოფლის მეურნეობის დარგში. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება სუბტროპიკული მეხილეობისა და ტექნიკური კულტურების შემდგომ განვითარებას. 1950 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილ იქნება 57,5 ათას ჰექტარამდე. გაშენდება ციტრუსოვანთა 11 ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციები, აქედან 3 ათასი ჰექტარი ფორთოხალი, 3 ათასი ჰექტარი ლიმონი.

მნიშვნელოვანი ოდენობით იზრდება მეხილეობა და მევენახეობა—საქართველოს სოფლის მეურნეობის ეს უძველესი დარგები. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი ზრდა.

უნდა განახორციელოთ წყალთა მეურნეობის დიდი სამუშაოები, სრული მოცულობით გავშალოთ მუშაობა კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად, რათა ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცეს 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები.

ჩვენ უნდა განვაახლოთ მუშაობა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის. ამ მშენებლობაზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია ითქვას, რომ იგი სამუშაოებს მოგვცემს მოვრწყათ 40 ათასამდე ჰექტარი და მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ახალი სკოლების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და დაწესებულებების, თეატრების, კინოების და განსაკუთრებით ბინების მშენებლობა, დიდი მუშაობა მოგველის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის დარგში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, გაადიდებს ელექტროენერგიის მოთხოვნილებას. ელექტროსადგურების სიმძლავრეთა მატება შეანელებს ელექტროენერგიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დაძაბულობას, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სახალხო მეურნეობის შემდგომ ზრდას, განსაკუთრებით საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ენერგიატევადი დარგებისას, საჭიროა დამატებით გათვალისწინებულ იქნას ხუთწლიანი გეგმით 30 ათასი კილოვატი სიმძლავრის 1 რაიონული ჰიდროელექტროსადგურის, სახელდობრ დიღმის ჰესის მშენებლობა მდინარე მტკვარზე თბილისის რაიონში.

ხუთწლიანი გეგმის პროექტით საქართველოში გათვალისწინებული ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა ტექნიკური და სპეციალური კულტურების ფართო განკითარება მოითხოვს ნიადაგში ყოველწლიურად აზოტოვანი სასუქების შეტანას. ამ სასუქების მოთხოვნილება ამიაკის გვარჯილაზე გადაყვანით წელიწადში 80 ათასზე მეტ ტონას შეადგენს. ასეთი მოთხოვნილების დაფარვა აზოტოვანი სასუქების საბჭოთა კავშირის შორეული რაიონებიდან შემოზიდვით გამოიწვევს არარაციონალურ სარკინიგზო ტვირთზიდვას. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი, რომ ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნას საქართველოში აზოტ-ტუკის ქარხნის მშენებლობა.

ჩვენ დიდი მუშაობა უნდა განახორციელოთ კაპიტალური მშენებლობის დარგში. ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს კაპიტალურ მშენებლობას 4 მილიარდი 120 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობისათვის გაჭოყოფილია 391 მილიონი მანეთი.

კაპიტალური ხარჯების მოცულობა ძირითადად უზრუნველჰყოფს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის პროექტით დასახულია ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთი საარსებო საჭიროება საკმარისად არ არის ასახული გეგმაში. ამას მინდა მივაქციო სესიის ყურადღება.

ომიანობის წლებში შეწყდა მუშაობა კომუნალური, საბინაო, საკურორტო მეურნეობის და სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის დარგში. საჭიროა დამატებითი სახსრები 70 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც გამოყენებულ იქნება უმთავრესად ქალაქებში და თბილისის მომიჯნავე კურორტებზე წყალსადენთა მშენებლობისათვის, თბილისის საკაბელო ქსელის გასაფართოებლად და იმისათვის, რომ ქალაქი მოემზადოს დენის მისაღებად, რასაც მოგვცემს ხრამის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ახლო მომავალში ამუშავდება, აგრეთვე მოხმარდება ქუთაისში კანალიზაციის მოწყობას. საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას ხარჯები ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთათვის, რასაც საქართველოს პირობებში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ზღვისპირა ქალაქებში.

ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის ბუნებრივი ყოველწლიური კლების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად საჭიროა დამატებით დაბანდებანი 25 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ადმინისტრატიული მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნობანი ვერ უზრუნველჰყოფენ ადმინისტრატიული სახლების მშენებლობის დამთავრებას ქუთაისში, რაიონულ ცენტრებში და მთავრობის სახლის მშენებლობის დამთავრებას თბილისში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ასიგნობათა გადიდება ადმინისტრატიული მშენებლობის დარგში 15 მილიონი მანეთით. ბევრ სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს ორ ცვლად, ხოლო ზოგიერთ სკოლაში სამ ცვლადაც. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დამატებით გათვალისწინებულ იქნას ხუთი საქალაქო სკოლის მშენებლობა.

რესპუბლიკის დიდ სამეცნიერო ცენტრს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც წიგნის დიდი ფონდი მოეპოვება, არა აქვს შენობა ბიბლიოთეკისათვის; საჭიროა ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნას ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის შენობის აგება, რომლის მშენებლობის საკითხიც გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ ომამდე.

ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ მეცნიერების მუშაკებს. საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს 40-ზე მეტ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და დაწესებულებას, რომელთაგან ბევრს არა აქვს შესაფერი შენობა. მეცნიერ მუშაკთა ნაყოფიერი საქმიანობისათვის პირობების შესაქმნელად საჭიროა ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შენობის ასაგებად.

საჭიროა ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას კაპიტალური ხარჯების ერთგვარი გადიდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის და წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის. პროექტით დასახული ასიგნობანი ძლივს ეყოფა უკვე დაწყებული ობიექტების დამთავრებას. ამავე დროს მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მთის იმ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოებს, რომლებიც ჰქმნიან მთელი სოფლებისა და ქალაქების წალეკვისა და დანგრევის საფრთხეს. საჭიროა მიმდინარე ხუთწლედშივე უზრუნველყოფილ იქნას სამუშაოთა ჩატარება იმ მდინარეთა რეგულირებისა და ნაპირების გასამაგრებლად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქალაქებს ონს, ბათუმს, აგრეთვე ყვარელს და სხვ.

საჭიროა კაპიტალური ხარჯების ერთგვარი გადიდება ხელოვნების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კინოს, პრესის, ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე სამშენებლო მასალათა მრეწველობის დარგში.

კურორტების შესახებ. საქართველოს კურორტები ომიანობის წლებში მომსახურებას უწევდნენ წითელი არმიის დაჭრილ ოფიცრებსა და მებრძოლებს. ახლა კურორტები მომსახურებას გაუწევენ საბჭოთა კავშირის ათეულ ათასობით მშრომელს. გეგმის პროექტით კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს კურორტებზე გათვალისწინებულია 5 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც სრულიადაც არ არის საკმარისი. ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება ისეთი შესანიშნავი კურორტებისათვის, როგორიც არის წყალტუბო თავისი ცნობილი სამკურნალო მინერალური წყაროებით, ტუბერკულოზით ავადმყოფთა სრულიად საკავშირო კურორტი აბასთუმანი, ზღვისპირა კურორტი გაგრა, საუცხოო საბავშვო კურორტი წაღვერი, მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბაკურიანი, ბორჯომი და სხვები.

განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კურორტ გაგრას, რომელსაც სისტემატურად აზარალებს მდინარე ეოკკვარა. ამ მდინარის რეგულირებას, რომელიც უშუალოდ ჩამოუდის კურორტს, ფრიად არსებითი მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის მთელი ამ საჭიროებისათვის გთხოვთ გაითვალისწინოთ დამატებითი ასიგნობანი 198 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს პროექტი კანონისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი, აღზრდილნი კომუნისტური პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, ყოველ ღონეს იხმარენ ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გაანადგურა მოსისხლე მტრები და დამონებისაგან იხსნა თავისი სამშობლო. ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით აღადგენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელ დონეს და უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ამ დონეს.

(მეტუხარე ტაში).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

12 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 12 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 12 მარტის დილის სხდომაზე დაიწყო ბრალდებულ გერინგის საქმის გამო მესამე მოწმის—გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ ავიაციის პოლკოვნიკ ბრაუხიჩის ჯვარედინი დაკითხვა. მოწმე დიდხანს იყო გერინგის პირველ ადიუტანტად.

დამცველმა შტამერმა და ლატერნზერმა მთელი რიგი შეკითხვები მისცეს მოწმეს.

ამის შემდეგ მოწმის დაკითხვას შეუდგა მთავარი ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი. ბრალმდებელმა მთელი რიგი დოკუმენტები წარუდგინა მოწმეს და, კერძოდ, ჩანაწერები რამდენიმე თათბირისა, რომლებსაც დაესწრნენ გერინგი და მთელი რიგი სხვა თვალსაჩინო ჰიტლერელები. უპასუხებს რა ბრალმდებლის შეკითხვებზე, მოწმე დაჟინებით უარჰყოფს, რომ იგი ამ თათბირებს ესწრებოდა და რომ საერთოდ მან იცის რამე ასეთი თათბირების შესახებ. მაგრამ შემდეგ მოწმე აღიარებს, რომ მან იცოდა იმ თათბირის შესახებ, რომელზეც „ბარბაროსას“ გეგმა განიხილეს. ბრალმდებლის მეტწილ შეკითხვებზე მოწმე პასუხს არ იძლევა და აცხადებს, თითქოს არ შეუძლია ესა თუ ის ფაქტი გაიხსენოს. ბოლოს იგი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ იცოდა აგრეთვე კიდევ ერთი თათბირის შესახებ, რომელზეც განხილულ იქნა აეროდრომების აგებისა და გაფართოების გეგმები.

სასამართლოს დარბაზში შემოჰყავთ ახალი მოწმე—პაულ კერნერი, ყოფილი სტატს-მდივანი, გერინგის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი. დაკითხვას იწყებს ადვოკატი შტამერი. როგორც დაკითხვიდან არკვევა, კერნერს, რომელიც პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივნად მუშაობდა, ევალებოდა თვალყური ედევნებინა გესტაპოს საქმიანობისათვის. მან კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა გესტაპოს საშინელ ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. მაგრამ იგი ყოველნაირად არიდებს თავს იმას, რომ დაახასიათოს გესტაპოს დანაშაულებრივი და სისხლიანი საქმიანობა. რაც შეეხება საკონცენტრაციო ბანაკებს, კერნერი ცდილობს დასახოს ისინი, როგორც ერთგვარი კოლონია „სახელმწიფოს მტერთა აღსაზრდელად“, სადაც პატიმრებს თითქოს „საუკეთესოდ ეპყრობოდნენ“.

მაგრამ როგორც კი დაკითხვას იწყებენ ბრალმდებლები, მრავალსიტყვაობა და მეხსიერებაც კი მუსაცვე ღალატობს მოწმე კერნერს. პირველმა იგი დაკითხა მთავარმა ბრალმდებელმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონმა. ყველა შეკითხვაზე, რომლებიც შეეხებიან ბრალდებულ გერინგისა და ჰიტლერული შეთქმულების სხვა მონაწილეთა დანაშაულებრივ საქმიანობას, კერნერი ორჭოფულად უპასუხებს, ხოლო კიდევ უფრო ხშირად ამბობს: „არ ვიცი“, „არ მახსოვს“, „სრულიად არ გამეგება“.

უკანასკნელი შეკითხვით ბრალმდებელი ჯექსონი აშკარავებს მოწმე კერნერის მიერ „მეხსიერების დაკარგვის“ რაობას.

ბრალმდებელი: თქვენ შარშან ოქტომბერში დაკითხვის დროს სთქვით, რომ არავითარ ჩვენებას არ მისცემთ თქვენი ყოფილი უფროსის—რაიხსმარშალ გერინგის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი მიგიჩნიათ რენესანსის (აღორძინების პერიოდის) უკანასკნელ წარმომადგენლად და რომ მის წინააღმდეგ რაიმე ჩვენების მიცემა არალოიალური იქნებოდა?

მოწმე: დიახ, ეს დაახლოებით ის არის, რაც მაშინ ვთქვი.

მიკროფონთან მიდის მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკო. იგი ეკითხება მოწმეს ოკუპირებულ ქვეყნებსა და ოლქებში შექმნილი გერმანელთა სამმართველოების ხელმძღვანელთა თათბირის შესახებ, რომელიც 1942 წლის აგვისტოში შესდგა გერინგის თავმჯდომარეობით.

კერნერი უპასუხებს, რომ მას არ შეუძლია გაიხსენოს, შესდგა თუ არა ასეთი თათბირი.

ბრალმდებელი: იქნებ გაიხსენოთ, რომ ამ თათბირის შედეგად თქვენ ყველა მინისტრს შენიშვნები გაუგზავნეთ ამ თათბირის შესახებ?

მოწმე: არ მაგონდება.

ამხ. რუდენკო წარუდგენს კერნერს კერნერის ხელმოწერილ „შენიშვნებს“. მოწმეს „მეხსიერება უბრუნდება“.

ბრალმდებელი: ამ დოკუმენტიდან სჩანს, რომ თათბირზე განსაზღვრულ იქნა მიწოდებანი გერმანიისათვის. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ოკუპირებული რაიონებიდან მოთხოვნილი იყო სამი მილიონი ტონა მარცვლეული. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ასეთი მიწოდებანი არსებითად ოკუპირებული ქვეყნების გაძარცვა იყო?

მოწმე: ოკუპირებულ ოლქებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ სურსათთა გერმანიის უზრუნველყოფაში.

ბრალმდებელი: განა ამ ოკუპირებულმა ოლქებმა სთხოვეს გერმანელებს, ჩვენთან მოდითო?

მოწმე სდუმს.

ბრალმდებელი: თქვენ არ სცნობთ, რომ ეს ძარცვა იყო? ხომ არ გაგონდებათ, რომ თვით გერინგმა ამ თათბირზე, რომელიც თქვენ გიახსენეთ, განაცხადა, რომ იგი აპირებს ძარცვოს და სწორედ რომ ეფექტიანად ძარცვოს ოკუპირებული ტერიტორიები?

მოწმე ამჯერადაც უპასუხებს, რომ მას არ ახსოვს ასეთი გამოთქმა. მან ვერ გაიხსენა აგრეთვე გერინგის განცხადება გერმანელების მიერ ოკუპირებული ოლქების ხელმძღვანელთა თათბირზე იმის შესახებ, რომ ისინი გაგზავნილი არიან იქ, რათა წამოიღონ იქიდან ყველაფერი, რის წამოღებაც კი შეიძლებო. კერნერს „დაავიწყდა“ აგრეთვე ხანგრძლივი მიმოწერა როზენბერგსა და გერინგს შორის საბჭოთა კავშირის ოკუპირებული ოლქების ეკონომიური ექსპლოატაციის თაობაზე და ის, რომ როზენბერგისადმი გაგზავნილ ერთ წერილში გერინგი კიდევ გამოსთქვამდა უკრაინისა და სხვა საბჭოთა ტერიტორიების ხელმეორედ დაპყრობის იმედს.

მოწმე კერნერის დაკითხვის გაგრძელება გადატანილია საღამოს სხდომაზე.

12 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 12 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 12 მარტის საღამოს სხდომაზე საბჭოთა ბრალდების წარმომადგენელი ამხ. რუდენკო განაგრძობდა კერნერის დაკითხვას, რომელიც ცდილობდა არ გაეცა თავისი ყოფილი ბატონი—გერინგი, გულმოდგინედ არიდებდა თავს პირდაპირ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას და ხშირად იწყებდა მსჯელობას გერმანელთა „უფლებაზე“ გაეწიათ ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიური ექსპლოატაცია. მოწმის მეხსიერება განსაკვირებლად ბნელდებოდა ყოველთვის, როგორც კი მას მისცემდნენ გერინგისათვის არასასიამოვნო შეკითხვებს. მაგრამ მოწმემ ვერ დაიწყო თავი იმ აღიარებას, რომელიც ამხილებს გერინგსა და მთელ ჰიტლერულ მთავრობას.

ამხ. რუდენკოს შეკითხვებზე პასუხის გაცემასას კერნერმა აღიარა, რომ გერინგი სათავეში ედგა ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიური ექსპლოატაციის მთელ გერმანულ აპარატს. მოწმე ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს გერმანიას ამ ექსპლოატაციის უფლება ჰქონდა. რუდენკოს შეკითხვაზე, „ვინ მიანიჭა გერმანიას ეს უფლებაო?“ კერნერი უპასუხებს: „მე იურისტი არა ვარ და ამიტომ არ შემიძლია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა“.

ბრალმდებელი: მაგრამ თქვენ ლაპარაკობთ გერმანიის უფლების შესახებ.

მოწმე: მე ვლაპარაკობ მხოლოდ აღდგენითი სამეშაოების წარმოების ბუნებრივ უფლებაზე: ამის გამო ჩვენ უფლება გვქონდა „ვესარგებლნა ამ მუშაობის შედეგებით.

ბრალმდებელი: აღდგენითი ღონისძიებების დარგში გერმანულ ინიციატივას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე საკონცენტრაციო ბანაკების ის ხშირი ქსელი, რომელიც თქვენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაგაარსეთ?

მოწმე: მე ამასთან საერთო არაფერი მაქვს.

ბრალმდებელი: მაგრამ მე ვაყენებ ამ კითხვას.

მოწმე: მე საქმის კურსში არა ვარ.

კერნერის დაკითხვის დამთავრების შემდეგ გერინგის დამცველმა შტამერმა გამოიწვია ახალი მოწმე—ყოფილი გენერალ-ფელდმარშალი კესელრინგი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გერინგის უახლოესი თანაშემწე იყო ავიაციის შექმნის დარგში, ომის დროს სარდლობდა ცალკე საჰაერო ფლოტებს და თავისი კარიერა დამთავრა როგორც იტალიაში გერმანიის ჯარების სარდალმა. შტამერის შეკითხვაზე. გერმანიის ავიაცია შეტევითი ხასიათისა იყო, თუ თავდაცვითი ხასიათისაო, მოწმე დიდი მზადყოფნით უპასუხებს, თითქოს „გერმანული ავიაცია წმინდა თავდაცვითი ხასიათის იარაღი იყო“. ვარშავის დანგრევა, რაც გერმანიის ავიაციამ ჩაიდინა, მოწმეს წმინდა „თავდაცვის“ ღონისძიებად მიაჩნია. კესელრინგი სარდლობდა საჰაერო ძალებს, რომლებიც ოპერაციებს ეწეოდნენ ვარშავის წინააღმდეგ, ამიტომ იგი, ბუნებრივია, დიდი მზადყოფნით უპასუხებს დამცველის შეკითხვაზე, რომ ვარშავის, აგრეთვე პოლონეთის სხვა ქალაქების დაბომბვა „სამხედრო საჭიროებას წარმოადგენდა“.

მოწმე „სამხედრო საჭიროების“ იმავე მოსაზრებებით ხსნის იმას, რომ გერმანელთა საჰაერო ძალებმა მისი, კესელრინგის, სარდლობით დაანგრიეს როტერდამი და კოვენტრი. როგორც მეორე საჰაერო ფლოტის სარდალი, მოწმე მონაწილეობას იღებდა კოვენტრიზე თავდასხმაში. იგონებს რა ამ თავდასხმას, მოწმე უტიფრად აცხადებს, რომ იგი „დიდად ბედნიერია, რომ არჩეულ იქნა სწორედ ეს ქალაქი“.

მოწმის დაკითხვას იწყებს გერმანიის გენერალური შტაბისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დამცველი ლატერნზერი, რომელიც მთელი რიგი მისახვედრებელი შეკითხვებით ცდილობს მიიღოს მოწმისაგან ჩვენება იმის შესახებ, რომ თითქოს გერმანიის საჰხედრო ლიდერებს არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ პოლიტიკურ ლიდერებზე, და რომ თითქოს პირველნი მხოლოდ პაიკები იყვნენ უკანასკნელთა ხელში. მაგრამ მოწმეს წამოსცდა, რომ ფრონტების სარდლები და უმაღლესი მხედართუფროსები არა მარტო მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის ცალკეული სამხედრო გამოსვლების დაგეგმვაში, არამედ მუდამ დაკავშირებული იყვნენ ჰიტლერელ „პოლიტიკურ მოღვაწეებთან“. დამცველის შეკითხვაზე, დაკავშირებული იყვნენ თუ არა გენერალური შტაბისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წევრები ჰიტლერული პარტიის და ჰიტლერული მთავრობის თვალსაჩინო მოღვაწეებთანო, მოწმე დადებითს პასუხს იძლევა. კესელრინგის სიტყვით, იგი ხმელთაშუა ზღვაზე მთავარსარდლად ყოფნისას მუდამ დაკავშირებული იო ყო ჰიტლერელთა სიმპერიონ უმაღლეს კომისართან. „ყველა სხვა რაიონში,—ამბობს მოწმე,—მე დაკავშირებული ვიყავი გაულაიტერებთან. აგრეთვე მრავალ სხვა პოლიტიკურ მუშაკთან“.

დამცველი ეკითხება მოწმეს, დარწმუნებული იყო თუ არა იგი, ცნობილი თათბირის შემდეგ, რომელიც ჰიტლერთან შესდგა სსრ კავშირზე თავდასხმის წინ, რომ გარდუვალი და აუცილებელი იყო ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ, მოწმე უპასუხებს: „მე მივიღე გარკვეული შთაბეჭდილება, რომ სამხედრო ლიდერებისადმი ამ თათბირზე ჰიტლერის მიმართვის ამოცანა იყო დაარწმუნებინა ისინი ამ ომის აუცილებლობაში“.

დამცველი: შეგიძლიათ თუ არა აღნიშნოთ რაიმე ფაქტები, საიდანაც შეიძლებოდეს დასკვნის გამოტანა, თუ რატომ დაგებადათ ეს აზრი თათბირის შემდეგ?

მოწმე: მე უკვე ვთქვი, რომ ჰიტლერის სიტყვას ამ თათბირზე ჰქონდა გარკვეული მიზანი დავერწმუნებინეთ, რომ არსებობს ხელსაყრელი ვითარება რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დასაწყებად. ჰიტლერის სიტყვა ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენა.

მოწმე აღიარებს, რომ მიიღო ბრძანება საზღვაო დესანტების მონაწილეთა (ეგრეთწოდებულ კომანდოსთა) გაყლეტის შესახებ. პასუხად დაძცველის შეკითხვისა სამოქალაქო მოსახლეობისა და გერმანელი საოკუპაციო ჯარების ურთიერთობის შესახებ მოწმე აკეთებს სასაცილო განცხადებებს, თითქოს ყველა ქვეყანაში „ეს ურთიერთობა საუკეთესო ყოფილიყოს“.

ამის შემდეგ დამცველი ცდილობს მისცეს მოწმეს პროფოკაციული შეკითხვა, თუ რა იცის მან მოკავშირეთა არმიების მიერ ომის კანონთა დარღვევის შესახებ. ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. რუდენკო პროტესტს აცხადებს ამ კითხვის დაყენების წინააღმდეგ და ამბობს, რომ მოწმის კომპეტენცია არ არის საერთაშორისო სამართლის საკითხებზე დასკვნის მიცემა. დისკუსიის შემდეგ, რომელშიც დამცველთა მხრივ მონაწილეობა მიიღეს ლატერნზერმა და შტამერმა, ხოლო ბრალდების მხრივ—ჯექსონმა, ტრიბუნალმა უარჰყო დამცველის შეკითხვა.

ოიდლის დამცველი იარვაისი მისახვედრებელ შეკითხვებით ცდილობს ჩვენება მიიღოს იმის შესახებ, რომ სამხედრო სარდლობა თითქოს ჰიტლერული ზედაფენის აბსოლუტურად უნებისყოფო იარაღი იყო. მაგრამ მოწმე იძლევა მეტად ბუნდოვან პასუხს, საიდანაც შეუძლებელია გაგება, ეს სამხედროები უბრალო პაიკები იყვნენ ჰიტლერის ხელში, თუ ჰქონდათ ჰიტლერის შეხედულებათა საწინააღმდეგო საკუთარი შეხედულებანი, თუ არც შეხედულებანი გააჩნდათ და არც ნებისყოფა. კესელრინგის შემდგომი დაკითხვა გადატანილია 13 მარტის დილის სხდომისათვის.

13 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 13 მარტი. (საკდესი). 13 მარტს ტრიბუნალის დილის სხდომაზე გრძელდებოდა გერმანიის არმიის ყოფილი ფელდმარშალ კესელრინგის ჯვარედინი დაკითხვა.

კალტენბრუნერის დამცველის ადვოკატ კაუფმანის შემდეგ მოწმე კესელრინგის დაკითხვას შეუდგა ბრალმდებელი ჯექსონი.

ბრალმდებელი: თქვენ ლაპარაკობდით გერმანიაში ისეთ საბელმწიფოს დაარსებაზე, რომელიც შეტწილად საიდუმლო პოლიციასა და საკონცენტრაციო ბანაკს ეყრდნობოდა?

მოწმე: პოლიციაზე დაყრდნობა ჩემთვის სრულიად გასაგები ფაქტია, ხოლო საკონცენტრაციო ბანაკები ჩემი თვალსაზრისით მიზნის მისაღწევ საშუალებას წარმოადგენენ.

ბრალმდებელი: და ორივე ეს დაწესებულება — სიდუმლო პოლიციაც და საკონცენტრაციო ბანაკები შექმნილი იყო ბრალდებულ გერმან გერინგის მიერ?

მოწმე: დიახ, გესტაპო მოწყობილი იყო გერმან გერინგის მიერ.

ბრალდებელი გადადის ებრაელთა დევნის საკითხზე. მოწმე აღიარებს, მიუხედავად უარის ცდისა, რომ მან იცოდა ეს ფაქტები და, კერძოდ, იცოდა ებრაელთა დარბევის შესახებ 1938 წლის ნოემბერში. მოწმემ აგრეთვე იცოდა, რომ ებრაელები — გერმანიის არმიის ოფიცრები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი არაარიული წარმოშობა, რათა თავიდან აეცილებინათ დევნა.

დაკითხვის პროცესში ბრალმდებელი არკვევს, რომ მოწმე ხელმძღვანელობდა საომარ ოპერაციებს პოლონეთში და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, და ამასთან დაკავშირებით ცხადყოფს იმ დროს გერმანიის მოქმედ შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობას და იმ თანაფარდობას, რაც ბომბდამშენ და გამანადგურებელ ავიაციას შორის არსებობდა გერმანიის არმიაში.

შემდგომი დაკითხვის დროს მოწმე აღიარებს, რომ გერმანიის ავიაციის საერთო მიზნები შეტევითი ხასიათისა იყო.

მოწმის ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ იგი მომხრე იყო ინგლისში შეჭრისა და ამისათვის გერინგს ურჩევდა გაეძლიერებინა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტი.

მოწმე უპასუხებს კითხვაზე, არსებობდა თუ არა ბრძანება საბჭოთა კომისრების დახვრეტის შესახებ და აღიარებს, რომ ასეთი ბრძანება მართლაც არსებობდა, მაგრამ მოწმე შეუპოვრად არიდებს თავს მისცეს ჩვენება, რომელიც ამ ბრძანების განხორციელებას შეეხება.

კესელრინგის დაკითხვაში დიდი ადგილი დაიკავა საკითხმა იმ სისხლისმღვრელ სომკაცრეთა შესახებ, რასაც გერმანიის არმია პარტიზანებთან ბრძოლის სახით ოკუპირებული ქვეყნების მშვიდობიანი და უმეწო მოსახლეობის მიმართ სწადიოდა. ინგლისელი ბრალმდებელი მაქსუელ-ფაიფი მოწმეს უჩვენებს ბრალდებულ კიტელის ბრძანებას, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის დეკემბრით და რომელიც წინადადებას აძლევს გერმანიის ჯარებს არაფერს არ მოერიდონ პარტიზანებთან ბრძოლაში აღმოსავლეთსა და ბალკანეთში. ბრალდებულ კიტელის ბრძანებაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ ეს ულმობელი რეპრესიები გამოყენებულ უნდა იქნას ქალებსა და ბავშვების წინააღმდეგაც კი.

ბრალმდებელი: გახსოვთ თქვენ ეს ბრძანება?

მოწმე: დიახ.

ამის შემდეგ მოწმეს უდგენენ მის საკუთარ ბრძანებას პარტიზანებთან ბრძოლაში განსაზღვრული უკიდურესი ზომების გამოყენების შესახებ და კერძოდ პარტიზანთა მოქმედების რაიონში მოსახლეობის დახვრეტის შესახებ. მისთვის წარდგენილი დოკუმენტის გადათვალიერების შემდეგ მოწმე კესელრინგმა „გაიხსენა“, რომ მან ასეთი ბრძანება გასცა 1944 წლის ივნისში.

— თქვენ გგონიათ, — ეკითხება ბრალმდებელი,—რომ ერთი წლის ასაკის ბავშვებისა და 84 წლის მოხუცების დახვრეტა სამხედრო საჭიროებას წარმოადგენს?

— არა,—ბუტბუტებს კესელრინგი.

ბრალმდებელი მოაგონებს მოწმეს კიდევ რამდენიმე ასეთ ფაქტს.

— გახსოვთ თუ არა თქვენ ისინი?—ეკითხება იგი კესელრინგს.

— ასეთი შემთხვევა ბევრი იყო, — უპასუხებს მოწმე,—და მე არ შემიძლია გავიხსენო ყოველი მათგანი ცალცალკე.

მაშინ მაქსუელ-ფაიფი მოწმეს ეუბნება, რომ ბავშვებსა და მოხუცებთან ბრძოლაში განსაკუთრებით განირჩეოდა დივიზია „გერმან გერინგი“, რომელიც მოწმის სარდლობის ქვეშ იმყოფებოდა. კესელრინგი ადასტურებს ამას, ამავე დროს ცდილობს გაამართლოს უკვე არა ბრალდებული გერინგი, არამედ თავისი თავი და იმოწმებს იმას, რომ ამ დივიზიას პირადად ხელმძღვანელობდა ბრალდებული გერინგი, რომელსაც დივიზიის სარდლობა ყოველდღე და უშუალოდ უგზავნიდა ანგარიშს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავის „გამარჯვებათა“ შესახებ.

მოწმის ეს პასუხი კიდევ ერთ დამაძძიმებელ გარემოებად აწვება კისრად ბრალდებულ გერინგს.

მოწმე კესელრინგის დაკითხვის განგრძობა გადატანილ იქნა 13 მარტის საღამოს სხდომაზე.

ბერძნული ყოველკვირეული ორგანო ბევინის პოლიციკის შესახებ საბერძნეთში

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). ყოველკვირეული ორგანო „ვიმა“, რომელიც ლონდონში გამოდის ბერძნულ ენაზე, სარედაქციო სტატიაში სწერს:

„განსაკუთრებული ჯიუტობა ბევინისა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ საბერძნეთში არჩევნები მოითხოვს, ადასტურებს, უდიდეს ზიანს აყენებს როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მდგომარეობას. არჩევნები ახლანდელ პირობებში, როცა მემარცხენეები და ცენტრი თავს იკავებენ მასში მონაწილეობისაგან, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის დამყარებას საბერძნეთში. ინგლისმა შეერთებულ შტატებთან და სსრ კავშირთან ერთად ვალდებულება იკისრა დაეხმაროს ევროპის განთავისუფლებულ ხალხებს ფაშიზმის მთელი კვალის მოსპობაში. ბევინის პოლიტიკა საბერძნეთში პირდაპირ ეწინააღმდეგება ამას. უკანასკნელ დღემდე აყენებდნენ თვალთმაქცურ მტკიცებებს, თითქოს ინგლისი არ ჩარეულა საბერძნეთის საქმეებში. ყოველგვარ გადაწყვეტილებას ისე ხატავდნენ, როგორც საბერძნეთის მთავრობის გადაწყვეტილებას. ახლა ეს იაფფასიანი კომედია დამთავრებულია“.

ეხება რა ბევინის წერილს სოფულისადმი არჩევნებთან დაკავშირებით, ყოველკვირეული ორგანო სწერს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განაცხადა საბერძნეთის მთავრობის მიერ ამ წერილის გამოქვეყნების წინააღმდეგ. „წერილი რომ საიდუმლოდ დარჩენილიყო, — სწერს „ვიმა“,—მაშინ მივიღებდით, რომ სოფულისი, და არა ბევინი, მოითხოვდა დაჟინებით არჩევნების ჩატარებას 31 მარტს“.

„თუ არ არის იმის არავითარი შანსი,—სწერს ყოველკვირეული ორგანო,—რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა შეიცვლება 31 მარტამდე, მაშინ ევროპაში იქნება კიდევ ერთი ფაშისტური სახელმწიფო (ესპანეთის დამატებით)—ფაშისტური საბერძნეთი. მსოფლიოში თვითეული ახალი ფაშისტური სახელმწიფო ახალი საფრთხეა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მომავალში. ამრიგად, არსებობს შეშფოთების სერიოზული მიზეზი, და ეს შეშფოთება აშკარად უნდა იქნას გამოთქმული ინგლისის პარლამენტის წევრებისადმი, ეტლისა და ბევინისადმი“.

ბულგარეთის მთავრობის შედგენა დაევალა კიმონ გეორგიევს

სოფია, 22 მარტი. (საკდესი). დღეს რეგენტებმა მიიღეს კიმონ გეორგიევი და დააკისრეს მას ახალი კაბინეტის შედგენა.

დაკაკაზიმრეს სეიდ-ზია-ედ-დინი

თეირანი, 20 მარტი. (საკდესი). ირანის პრემიერ-მინისტრმა განკარგულება გასცა ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სეიდ-ზია-ედ-დინის წინასწარი დაპატიმრების შესახებ.

მარშალი ჟიჟო პრაღას ჩავიდა

პრაღა, 21 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს პრაღაში ჩამოვიდა იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო. ვაგზალში მას შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ფირლინგერის მეთაურობით.

პრაღის ვაგზლის მომჯენავე ქუჩები სავსე იყო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მცხოვრებლებით, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ მარშალ ტიტოს. ტიტოს პატივსაცემად, რომელიც პრაღაში რამდენიმე დღეს დარჩება, გამოფენილია ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ალმები და სხვა სლავურ სახელმწიფოთა ალმები.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საბერძნეთის არჩევნების შესახებ

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 20 მარტს საღამოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სამინისტროს საჭიროდ და განსაზორციელებლად მიაჩნია საბერძნეთში 31 მარტს არჩევნების ჩატარება.

მოკავშირეთა კომისია იუღიის კრაინაში

ბელგრადი, 18 მარტი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ოპატიაში მოკავშირეთა კომისიის შეხვდა 10 ათასზე მეტი მოქალაქე ეროვნული ალმებით, ტრანსპარანტებითა და ყვავილებით. ოპატიის მოსახლეობა — სადღესასწაულო ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილი იტალიელები და ხორვატები — მოითხოვდა იუღიის კრაინის შეერთებას იუგოსლავიასთან.

ინგლისის მინისტრები ინდოეთს გაემგზავრნენ

ლონდონი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 19 მარტს ინდოეთს მიმავალი მთავრობის დელეგაციის წევრები — საზღვაო მინისტრი ალექსანდერი, ინდოეთის საქმეთა მინისტრი პეტიკ-ლოურენსი და ვაჭრობის მინისტრი სტაფორდ კრიპსი ინდოეთს გაეგზავნენ.

სანარმოო პროფკავშირთა კონგრესის დელეგაციის მოხსენება საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საკდესი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის დელეგაციამ, რომელმაც ამას წინათ საბჭოთა კავშირი ინახულა, კონგრესის აღმასკომს წარუდგინა ანგარიში თავისი მოგზაურობის შესახებ. მოხსენებაში დაწვრილებით არის აღწერილი საბჭოთა პროფკავშირების სტრუქტურა, საბჭოთა მუშების მუშაობის პირობები და მდგომარეობა. მოხსენება შეიცავს მოწოდებას—შეიქმნას „მტკიცე ერთიერთგაგება და თანამშრომლობა“ საბჭოთა კავშირის ხალხებთან მთელ მსოფლიოში მშვიდობის, აყვავებისა და პროგრესის ინტერესებისათვის. შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა პროფკავშირების ხასიათმა, მათმა მრავალმხრივმა საუცხოო მოღვაწეობამ მუშების სასარგებლოდ ეკონომიურ, კულტურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებში და მუშათა საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში“.

მოხსენებაში განსაკუთრებით აღნიშნულია სოციალური დაზღვევის ყოვლისმომცავი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მუშაკისა და მათი ოჯახების დაცვას ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური სისტემებისა და მართვა-გამგეობის ფორმების განსხვავებისა, დელეგაციამ ბევრი რამ საერთო ჰპოვა ორივე ქვეყნის პროფკავშირების საქმიანობაში.

მოხსენება მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის პროფკავშირული კომიტეტის შექმნას, როგორც იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ურთიერთმიწოდება და ხელი შეეწყოს საბჭოთა პროფკავშირებისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფკავშირების უფრო მჭიდრო ურთიერთობას. აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშვიდობა და აყვავება დამოკიდებული არა მარტო მთავრობებს შორის თანამშრომლობაზე, არამედ უფრო მეტადაც ურთიერთგაგებასა და მეგობრობაზე, რაც შესაძლებელია ყველა ქვეყნის მუშებსა და უბრალო ადამიანებს შორის.

ფინეთის მთავრობის შედგენისათვის

ჰელსინკი, 17 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთმა „ილტა სანომატმა“ გუშინ გამოაქვეყნა, იუსტიციის მინისტრმა ერხო. კეკონენმა ინახულა პრეზიდენტი პაასიკივი და აცნობა მას ახალი მთავრობის შექმნის შესახებ სეიმის ფრაქციებთან მოლაპარაკების შედეგები. კეკონენმა განაცხადა, რომ მას საშუალება არა აქვს შეადგინოს მთავრობა მისთვის რეკომენდებულ საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით მან უარი თქვა პრეზიდენტის მიერ მისთვის მიცემულ დავალებაზე.

ბულგარეთის მთავრობის გადადგომა

სოფია, 21 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს შესდგა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — მიმართონ სახალხო კრებას წინადადებით, რომ ახლანდელი სესია განგრძობილ იქნას 1 ივნისამდე. მინისტრთა საბჭომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ მთავრობა შეხვდა სახალხო კრების ბიუროს, საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეებს და სამეფო ფრონტის პარტიების პოლიტიკურ მდივნებს. ამ შეხვედრის დროს პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა გამოაცხადა მთავრობის გადაწყვეტილებანი. დღეს კიმონ გეორგიევის მთავრობა პარლამენტში ოფიციალურ განცხადებას გაკეთებს თავისი გადადგომის შესახებ. მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დღეს ხდება, საპარლამენტო ჯგუფებიაა და პარტიათა ხელმძღვანელი ორგანოების სხდომები.

მთავრობის გადაწყვეტილება ყველა გაზეთში გაძოქვეყნდა.

ბულგარეთის მთავრობის გადადგომის გამო

სოფია, 21 მარტი. (საკდესი). დღეს საღამოს რეგენტებმა მიიღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კიმონ გეორგიევი, რომელმაც თავისი კაბინეტის გადადგომა გადასცა მათ. რეგენტებმა დაავალეს წინანდელ მთავრობას განაგოს ქვეყანა ახალი კაბინეტის შედგენამდე. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო რეგენტთა თათბირი.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონაჟი

მერვე ტური

მერვე ტურში დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია გიორგაძისა და ოსტატ ზაგორიანსკის პარტიამ. გიორგაძე, რომელიც თეთრებით თამაშობდა, დიდხანს ინარჩუნებდა ინიციატივას. საპასუხო სვლებზე ზაგორიანსკი ბევრს ფიქრობდა. მეთოდური თამაშით მან მოწინააღმდეგეს ინიციატივა ხელიდან გამოაცალა, ენდშპილი გიორგაძემ სუსტად გაითამაშა. პარტია გადაიდო ზაგორიანსკისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

მიკენას-ებრალიძის პარტიაში, რომელიც გადაიდო, პირველს მოსაგები მდგომარეობა აქვს. ფალავანდიშვილმა წაგო ბლაგიძესთან, ცინცაძემ კარგად გამოიყენა შიშოვის პასიური თამაში და გამარჯვებას მიაღწია. მალაშხიამ მოუგო ქარსელაძეს და აღამალიანმა ნერსესოვს. ვეიზერ-გაჩეჩილაძის პარტია ყაიმით დასრულდა.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა კერესმა, რომელიც ამჯერად სოროკინს ეთამაშებოდა. ფირცხალავამ ენერგიული თამაშით მოუგო არუთინოვს. სერიდა-პეტროსიანის პარტია გადაიდო უკანასკნელისათვის უკეთე